ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №25/5

თბილისი „11“ „01“ 2011 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, **სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“** (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ მახარაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ინფოსერვისი“** (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ზურაბ თეთრაძის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა“ განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სააგენტოს საჭიროებისათვის საძიებო სისტემის „კოდექს 2007“ განახლების მომსახურების (ობიექტის ერთგვაროვნება - მონაცემთა ბაზის სისტემა) შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა“ აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 1200,00 (ერთი ათას ორასი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების საერთო ღირებულება“).

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. აღნიშნული მომსახურება ითვალისწინებს „შემსყიდველის“ სერვერზე განთავსებული საძიებო სისტემის „კოდექს 2007“ – ის პროგრამულ განახლებას ყოველკვირეულად.

3.2. საძიებო სისტემის „კოდექს 2007“ განახლების ღირებულება სერვერზე შეადგენს თვეში 40,00 (ორმოცი) ლარს, ხოლო ყოველ დამატებით ერთ მომხმარებელზე შეადგენს თვეში 10,00 (ათი) ლარს, სულ 7 (შვიდი) მომხმარებელი, მათ შორის ერთი სერვერი, საერთო ღირებულებით თვეში 100,00 (ასი) ლარი.

3.3. მომსახურების ღირებულება 1 (ერთი) კვარტალში შეადგენს 300,00 (სამასი) ლარს, სულ მომსახურების ღირებულება შეადგენს 1200,00 (ერთი ათას ორასი) ლარს.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1. სისტემის პროგრამული განახლების მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს ყოველკვარტალურად, მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე.

5.2. ყოველი კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტს და საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურას დადგენილი წესის მიხედვით.

5.3. IV კვარტალში გაწეული მომსახურების შესახებ საფინანსო დოკუმენტაცია „მიმწოდებელმა“ უნდა წარმოადგინოს არაუგვიანეს 25 დეკემბრისა.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

6.3. გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორება იწარმოებს ყოველკვარტალურად, მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის და ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული კოორდინატორის მიერ შედგენილი ინსპექტირების აქტის საფუძველზე.

6.4. „შემსყიდველი" უზრუნველყოფს „მიმწოდებლის“ დაფინანსებას ხელშეკრულების 6.3. პუნქტში აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

7.1.1 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.2. „შემსყიდველს“ მიაწოდოს კოდექსის განახლების ფაილები ინტერნეტის საშუალებით არანაკლებ კვირაში ერთხელ, ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად, „შემსყიდველის“ მიერ წარმოდგენილი ელ. ფოსტის მისამართზე.

7.1.3. მომსახურების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები აღმოფხვრას არანაკლებ 2 (ორი) სამუშაო დღეში.

7.1.4. დაიცვას ამ ხელშეკრულებისა და კანონმდებლობის მოთხოვნები.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

7.2.1. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ სრული და დროული ანაზღაურება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

7.2.3. წერილობით აცნობოს „მიმწოდებელს“ ინფორმაცია სახელშეკრულებო პირობებში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ

გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა
11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება
12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა
13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა
14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;
14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;
14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;
14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს კოორდინატორი, სააგენტოს მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი ერეკლე დუღაშვილი.

15.2. კოორდინატორის ფუნქციებია:

15.2.1. მხარეების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხვედველობის განხორციელება;

15.2.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება და ,,მიღება-ჩაბარების აქტის" გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მიმდინარე წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', ორი – ,,შემსყიდველთან''

„შემსყიდველი"

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"
ქ. თბილისი წერეთლის გამზ. №144
სახელმწიფო ხაზინა
კოდი № TRESGE22
ა/ა № 200122900
ს/კ № 202465153

თამარ მახარაშვილი
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შპს „ინფოსერვისი"
ქ. თბილისი, ბეჟანიშვილის #49
ს/ს „რესპუბლიკა ბანკი"
კოდი № REPLGE22
ა/ა № 600003608002037
ს/კ № 200001229

ზურაბ თეთრაძე
გენერალური დირექტორი